№ 86. 21 აპრილი, შაბათი. 1866—1884 21 აპრილი, შაბათი. № 86.

„დროების“ რედაქცია—სომხისონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ორი კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურს ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

### ყოველთვის ანდაზა არა სრულდება

თბილისი, 21 აპრილს.

რუსული ანდაზაა: „რასაც კალმით დასწერ, ცულით არ ამოიჭრებაო“; მაგრამ ეს ანდაზა ყოველთვის არა სრულდება და არა სრულდება უფრო მაშინ, როდესაც იგი შეეხება სახელმწიფოთა და ხალხთა. რაც ისტორია მოქმედობს, ვინ იცის, რამდენი ტრაქტატი დაწერილა და ყოველს მათგანს ღირსებია სახელი „წმინდა და დაურღვეველი პირობისა“, მაგრამ გამოსულა რამდენიმე წელიწადი და მეორე «წმინდა და დაურღვეველს პირობას» სრულიად უარ-უყვია პირველის ძალა და მნიშვნელობა.

ასეთივე ბედი ეწია ჩვენს თვალ-წინ შეკრულ ბერლინის ტრაქტატს, რომლის ძალითაც ავსტრიას მხოლოდ უნდა დაემშვიდებინა ბოსნია და ჰერცოგოვინა, მაგრამ, დამშვიდების მაგიერად, მან ორივ ეს ქვეყანა თუ არ შეიერთსულა, შეიერთხორცა მაინცა. მალე, როგორც ეტყობა, ერთ-ერთ მუხლს ამ ტრაქტატისას ესევე ბოლო მოელის. იმის ძალით ბულგარია და აღმოსავლეთის რუმელია, რომელნიც თითქმის მარტო ბულგარებით არიან დასახლებულნი, განცალკევდენ; ბულგარიამ შეადგინა დამოუკიდებელი სახელმწიფო და მთავრად აირჩია თავადი ბატენბერგი და აღმოსავლეთის რუმელიაში კი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორად ალეკო-ფაშა ხვანთქარის მფარველობის ქვეშე. ამ გვარად ბერლინის ტრაქტატმა ძალით გაჰყარა ერთის სისხლის ხალხნი, რომელთაც ყოველისფერი საერთო ჰქონდათ, როგორც ჩამომავლობა, ენა, სარწმუნოება, ისე ისტორიაც.

ბერლინის ტრაქტატმა ორად გაჰყო იგინი, მათი გაყრილობის განაჩენი დიდის ამბით დაიწერა გერმანიის დედაქალაქში ბისმარკის თავმჯდომარეობით, მაგრამ ეროვნულმა ბუნებამ თავისი ჰქნა და ამ ორს ხალხში, ანუ უკეთ ვსთქვათ, ერთისა და იმავე ხალხის ორს ნახევარში, აღძრა ძლიერი სურვილი შეერთებისა და ერთ პოლიტიკურ არსებად გარდაქცევისა.

უკანასკნელ დროს უფრო თავი იჩინა ამ გვარმა მოძრაობამ და რამდენიმე სახალხო მიტინგიც მოხდა, როგორც საკუთრად ბულგარიაში, ისე აღმოსავლეთის რუმელიაში. ამ მიტინგების უმთავრესი საგანი, რასაკვირველია, ამ ორი ქვეყნის შეერთება იყო, მთავარ ალექსანდრესთანაც გაგზავნეს დეპუტაცია, და გამოუცხადეს თავიანთ სურვილი. სხვათა შორის ამ მიტინგების წარმომადგენელს წარმოუთქვამს ცხარე სიტყვა, რომელშიაც აჩვენებდა თურმე, სხვათა შორის, რომ მთავარ ალექსანდრეს აწევს ვალი ყველა ბულგარების შეერთებისა. მთავარს დიპლომატურად მიუგია, რომ, როგორც ბულგარიელი, იგი, რასაკვირველია, თანაუგრძნობს ბულგარიის ხალხის სურვილს, მაგრამ, როგორც მთავარი, ბერლინის ტრაქტატის ძალით უფლება-შემოსილი, იძულებულია გამოაცხადოს, რომ ჯერ არ მოსულა დრო ამ სანეტარო შეერთებისა. საკვირველი ის არის, რომ თვით ავსტრიის ჟურნალ-გაზეთებმაც კი, რომელნიც ცუდის თვალით უცქერიან ბულგარიის ერთობას, აქეს მთავრის ალექსანდრეს სიტყვა. სხვათა შორის, ეს ფაქტიც ამტკიცებს, რომ მოსულა ჟამი ამ გვარი პოლიტიკური ცვლილებისა და რადგან რუმელიის გენერალ-გუბერნატორს ალეკო-ფაშას უთავდება ვადა თვისის გუბერნატორობისა, ბულგარიელებმაც ისარგებლეს ამ გვარი შემთხვევით, ხმა-მაღლა გამოაცხადეს საერთო წადილი და მთელი ევროპა თავიანთ პოლიტიკურ საქმეებზედ აალაპარაკეს.

### შინაური ქრონიკა

— წმ. ნინოს «ზავედენიის» შენობა შარშან სრულიად განაახლეს და ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიიღო კნ. ნადეჟდა ანდრიას ასულმა დონდუკოვ-კორსაკოვისამ. მაგრამ შენობას ჯერ კიდევ ბევრი აკლია, მეტადრე ეჭირვება შიგნით რიგიანი მოწყობა და ამისათვის რჩევა ამ სასწავლებლისა გამართავს მაისის დამდეგს სახალხო დღესასწაულს ლოტერეა-ალეგრით ალექსანდრეს ბაღში. რჩევა სთხოვს თბილისის მოვაჭრეთა, რათა შესწირონ, შეძლებისამებრ, რაც კი გამოემეტებათ ლოტერეისათვის, თუნდ სრულიად იაფი ფასის საქონელიც. შეწირულობის გაგზავნა შეიძლება მთავარ-მმართებლის სასახლეში რჩევის თავმჯდომარის კნ. დონდუკოვ-კორსაკოვის სახელზედ, რომელიც დიდის მადლობით მიიღებს ყოველ გვარ შეწირულობას.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ გუბერნიის გამგეობას მოუთხოვნია სახელოსნო გამგეობის დავთრები და სჩანს, მალე მათს განხილვას შეუდგება. იმედი გვაქვს, რომ რევიზიის დროს გუბერნიის გამგეობა მიაქცევს ყურადღებას ყოველსავე საქმეებს სახელოსნო გამგეობისას და ამით მოსპობს ან ავად ან კარგად იმ ხმებს, რომელნიც ხალხში დადიან. მაგრამ ამისათვის გუბერნიის გამგეობას დასჭირდება დაწვრილებით რევიზიის მოხდენა. მაგ., მან უნდა გადაათვალიეროს შემოსავალ-გასავლის წიგნები უკანასკნელი ხუთის წლისა მაინც, გასინჯოს, თუ რამდენი ატესტატია ოსტატისა, მოწმობები და წიგნები ქარგლებისა, სტამბისა და ლიტოგრაფიის ანგარიშები, ბლანკების რიცხვი და სხვ. არ იქნება ურიგო, რომ გუბერნიის გამგეობამ განსაკუთრებული თვისი ყურადღება მიაქციოს სეკრეტარის მოქმედებას, რომელიც თითქმის ერთად-ერთი გამგეა ამ დაწესებულებისა.

— ჩვენში მოსულა ერთი რუსი, გვარად დავიდოვი, რომელიც ფულის-პატრონებისაგან არის თურმე გამოგ-

---

«დროების» ფელეტონი 21 აპრილი.

### საბრალო ტასო.

(სურათი ბატონ-ყმობის ცხოვრებიდამ)

რუსულიდამ გადმოკეთებული.

(შემდეგი *)

დიდხანს აღარ გაუვლია ამის შემდეგ, რომ გრიგოლ და ტასოც დაბრუნდენ. ტასო სიცილით მოუთხრობდა, რომ გრიგოლმა ვერ შესძლო მისი დაჭერა.

— საცოდავი! თუმცა ძლიერ ეცადა, მაგრამ მაინც ვერ დამიჭირა. ცხვირი რაზედ დაგიშვია? ვერ გაიმარჯვე? რა ვუყოთ. ისე ხარ განებივრებული, რომ გინდა სულ გამარჯვებული იყო. ვასილსაც გამოულევიხნია.

ტასო მიუახლოვდა ნემსაძეს და ალერსით გადახვია მხარზედ ხელი. ნემსაძემ ველარ მოითმინა და იქვე ხალხში აკოცა, აწითლებულ ლოყაზედ.

წიკლაური თვალს არ აშორებდა ნებიერიძეს და გრძნობდა, რომ ყოველივე დარდი გულიდამ ეყრება, რადგან ნებიერიძე მწუხარე იყო და გაყვითლებული, განრისხებული უცქეროდა ტასოს.

— ხახა-მშრალი დარჩენილა, — გადასწყვიტა გულში წიკლაურმა და გამხიარულდა.

— ტასო! მიუბრუნდა იგი ტასოს, რომელიც ნემსაძეს მკლავზედ დაბჯენოდა, — მოდით, ყველანი ერთად მოვგროვდეთ და ხალხური სიმღერა გავმართოთ.

— ძალიან კარგი იქნება, ვიმღეროთ, — წამოიძახა გახარებულმა ტასომ, რადგან პირველი იყო წიკლაურისგან ესეთი ყურადღება მისდამი. მოდით, ერთად დავსხდეთ, მე სიმღერას ვიტყვი და თქვენ ბანი მომეცით. მაგრამ როგორი სიმღერა გითხრათ, მხიარული, თუ ნაღვლიანი?

— რასაკვირველია, ნაღვლიანი და ისეთი ნაღვლიანი, რომ ადამიანს გულში ჩასწვდეს, აუდუღოს და თვალთაგან ცრემლი აფრქვევინოს, — უპასუხა წიკლაურმა.

— ტასოს ტირილი არ შეუძლიან, ისეთს ნაღვლიანს ვერას გიმღერებთ, რომ ცრემლი გაფრქვევინოთ. ტასო მხიარული ქალია და მხიარულს რასმეს იმღერებს. მაგას ცრემლები ეჯავრება, — მკვახედ წარმოსთქვა გრიგოლ ნებიერიძემ.

— რა ვუყო, გრიგოლ! — დაცინვით უპასუხა ტასომ. ჩემს თვალებში ცრემლები დიდი ხანია დაშრნენ და სხვის ცრემლები არა მჯერა. ნამდვილს, ჭეშმარიტს ცრემლს ველარ ნახავთ; ეშინიათ ხალხისა და იმალებიან. ეჰ, ღირს მაგაზედ ლაპარაკი?! რად ვკარგავთ ძვირფასს დროს? აბა, ერთი მხიარულად ვიმღეროთ რამე, — მიუბრუნდა წიკლაურს, ხელი გამოართო და ალერსიანად შეხედა მას გაბრწყინვალებულ სახეში.

— დღეს თქვენ სწორედ ოქრო ხართ, — მხიარულად უთხრა წიკლაურს. ოჰ! რა რიგად შემიყვარდებოდით, რომ სულ მუდამ ეგრეთი იყოთ. ეხლა გიმღერებდით ნაღვლიანს სიმღერას, მაგრამ გრიგოლი შევიბრალოთ; ხომ ხედავთ როგორ დაუშვია ცხვირი. შინ რომ მივალთ, იქ გიმღერებთ. ეხლა მხიარული ვიმღეროთ რამე.

— გრიგოლს უყვარხართ განა, ტასო? მოულოდნელად ჰკითხა წიკლაურმა და თითონვე გაუკვირდა თავის გაბედულობა.

— მიყვარვარ, — გულ-წრფელად აღიარა ტასომ. — ჩემი ცოლად შერთვა სურს.

— მერე... თქვენ რაღას ეუბნებით?

წიკლაური გაყვითლდა და გულის-სისწრაფით ელოდა პასუხს.

— მე არ მინდა და არც გავთხოვდები. მე ვასილს არავისთვის დავთმობ. ის უჩემოდ მოკვდება. მართლა და თქვენ თითონ მითხარით — რად მინდა გვირგვინი? მართალია, ჩვენი პატიოსანი ქალბატონები არ მეკარებიან..

*) იხილე „დროება“ № 85.

ზავნილი, რომ კავკასიაში მადნების მოპოებას შეუდგეს. როგორც გვითხრეს, დავიდოვი ევაჭრება ყარალაშვილებს მათს სპილენძის მადანს და სვანეთშიაც უნდა მოიპოვოს იმ ალაგებს, სადაც ოქროს მოპოვების იმედია.

## ვითომ მართალია?

დასავლეთის საქართველოის ერთი კეთილ-შობილ აზნაურთაგანი, რომელიც არც ხნავს, რასაკვირველია, და არც სთესავს, არც მოხელეობს და არც მასწავლებლობს, არც ჭრის და არც კერავს, არც ვაჭრობს და არც შემოსავალი აქვს ადგილ-მამულიდამ, ერთის სიტყვით, იმისთანა, რომელიც არავითარ პატიოსან შრომას არ მისდევს და პატიოსანის წყაროდამაც ერთი ბისტიც არ შემოუვა, მაგრამ მუდამ კარგად სვამს და სჭამს, იცვამს და იხურავს, ჩვენშიაც და სადაც გაემგზავრება იქაც საზოგადოების უკეთესს წრეში დატრიალობს,—ამ რამდენიმე თვის წინად მიბძანებულა და დღესაც ბძანდება თურმე რუსეთის პირველ-სატახტო ქალაქში. ბძანდება და დაბძანდება თურმე იქაურ მდიდარ ამღებ-მიმცემლებში, რომელთაც არწმუნებს და კიდეც აჯერებს, რომ «მე, კავკასიის მდიდარ მემამულეს, ჩემს ადგილებში ჩაის პლანტაციები მაქვს და ვისაც გსურთ, შეგიძლიანთ შემომიამხანაგდეთ, ვისაც გნებავთ, შემიკვეთეთ კიდეც რამდენიმე ასი ცალი ჩაისა. პირველებმა უნდა შემოიტანონ პლანტაციების ნახევარის ხვედრი ფულის $1/5$ ეხლავე, ხოლო მეორეთ შეკვეთილის ღირებულობის $1/10$... ამღებ-მიმცემლებიც, რომელთაც, ადვილად შესაძლებელია, თავიანთ სიცოცხლეში რამდენიმე ათასი ალალ-მართალი კაცი მოუტყუილებინოსთ, დღეს თვითონ სცურდებიან ყინულზე ამ „კავკასიის“ გაიძვერა «მდიდარი მემამულესაგან» და, თუმცა ბზესავით არა, მაგრამ ქერსავით კი უყრიან ხელში „წითლიანებს“ და „ლურჯიანებს“—ზოგი ბეის სახელით და ზოგიც საამხანაგო ნახევრის წილში ჩასათვლელად!.. ცნობიერობის-მოყვარულ მკითხველს ბარემ იმასაც ვაცნობებთ, რომ ეს ვაჟბატონი პლანტატორობასთან ერთად ითვისებს სხვა გვარს და თავადობასაც, და როგორის სითამამითაც დანარჩენს ფლიდობას ჩადის, ისეთისავე ხელგაკრულობით უწერს თავის მსხვერპლებს ვითომ და პირობის ქაღალდებზე „князь Б—ри.“

მართალია, «ოჯახი უმახინჯოდ არ იქნება» და ეს ამბავიც სანდო პირმაც გვაცნობა, მაგრამ იმისთანა სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს მონათხრობი, რომ მაინც გვეძნელება მისი დაჯერება და მტკივნეულის გულით ვკითხულობთ—ვითომ მართალია?

—

იქნება მკითხველს ჯერ კიდევ ახსოვდეს ტრაპიზონიდამ წერილი «დროების» № 9 ფელეტონად დაბეჭდილი, მირალაის—ბინ-ოღლის ხაზინის ყუთში და მისი მხედრების ჯიბეებში ნადირობის თაობაზე? ამავე ვაჟ-ბატონზე, იგივე ავტორი ოსმან-ალა მამულაძე შემდეგს ახალ ფაქტებს გვაცნობებს:

«თავის პოლკის მოიჯარადრეს მირალაის უმსუნაგესობა შეეკრა პირობით, რომლის ძალითაც პირველმა ჩუმად, ყოველივესი და ყოველთავე შეუტყობინებლად, უნდა «უჩიშმოს» მეორეს ჯიბესა-შინა ნახევარი იმ ფულისა, რომელიც მან მიიღო პოლკისათვის ქერის დასამზადებელ იჯარის ფასად, და სამაგიეროდ, დანარჩენის ნახევარ ფულით ეძლევა უფლება, სადაც სურდეს, იქ იშოვნდეს და ილხენდეს. თავის მოქვემდებარე იუზბაშებს (ასის-თავებს), რომელნიც ზურგს უკან კი ლანძღვენ, მაგრამ მთავრობისთვის სიმართლის მოხსენებას მასზე ვერ ჰბედვენ,—უთხრა: «თქვენ გაჩუმდით, ნურაფერს აუხსნით დაბალ ბაში-ბუზუყებს და მე ქერის ნაცვლად, სიმინდს დავურიგებ მათ. თქვენ რა გენაღვლებათ, ხონთქრის ფულით მე გავმდიდრდეო?» მოიჯარადრემ პირიანად აასრულა თავის სიტყვა, მაგრამ მირალაიმ, ჩვეულებრივად, აქაც ნავარდი ქნა. ეს მესამე თვეა, რაც ბაში-ბუზუყებს ცხენები სიმშილით ეხოცებათ, რადგანაც მირალაი ქერის ნაცვლად სიმინდსაც არ აწოდებს თავ-თავის დროზე და სამყოფად. ტირიან ბაში-ბუზუყნი, თვითონ მშიერნი და ცხენების შიმშილითაც გულ-აჩუყებულნი, ფეხებს აბაკუნებენ ცხენები თავლაში—მაგრამ დღეს სახონთქროში ყოველგან მდიდარი ქურდი სჩაგრავს მართალ ღარიბს, და ამ საქმეშიაც—ბინ-ოღლი მესკუპდა გამარჯვების, ან და უფრო მართლად ვსთქვა,—თაროზე... ამ თაროზე შესკუპებულმა კიდევ შემდეგი შემაძრწუნებელი ბოროტ-მოქმედება ქნა: ბაში-ბუზუყებს მოუვიდათ სამხედრო ფული რომელიც მას ხაზინადრის ხელით დაუყოვნებლივ უნდა დაერიგებინა; მაგრამ დარიგების ნაცვლად ნახევარი (500 მანეთი), ის წილი, რომელიც ერგებოდათ ამ ფულის გამოგზავნამდის სამსახურიდამ გასულთ, მთლად იჯიბა, და მეორე ნახევარის პატრონებს კი გამოუცხადა: «რადგან ხვანთქარს შარშან დიდი ხარჯი მოუვიდა და ხაზინა შეუმჩატდა, ამიტომაც ორ-ორი მანეთი დაუკლია. ამ ხრიკით ამათაც ჩამორჩა 150 მანეთს.

სამწუხარო ჯერ ერთი ის არის, რომ ასე ულვთოდ ატყუებს თავის მოქვემდებარე და მეორეც ის, რომ მთელი მთავრობა და საზოგადოების რამდენიმე წევრნიც დამცველად უჩნდებიან ამ ვაჟ-ბატონს... ზეიკვირს და გაგკვირვებია!»

რაც აკვირვებს ოსან-ალა, ის ჩვენ სრულიად საკვირველად არ მიგვაჩნია, რადგანაც კარგად ვიცით, რომ «მგელი მგლის ტყავს არ დახევს».

## რ უ ს ე თ ი

—

6 მაისს შესრულდება 16 წლისა მემკვიდრე რუსეთის ტახტისა და ამ სრულ-წლოვანობის დღესასწაულობისათვის ეხლავე შესდგომიან მზადებას. სხვათაშორის, პეტერბურგის ქალაქის საბჭოში შეუტანიათ წინადადება, რომ ამ დღესასწაულის სახსოვრად გამართონ სახალხო თეატრი პეტერბურგში მარტო უბრალო ხალხისათვის. თეატრი უნდა აშენდეს საქალაქო მიწაზედ და სიიაფის გულისათვის ყოველ გვარ მორთულ-მოკაზმულობას მოკლებული იყოს. უმთავრესად იმაზედ უნდა იყოს მიქცეული ყურადღება, რომ თეატრში დიდი ხალხი ეტეოდეს და ცეცხლის გაჩენის დროს საშიში არ იყოს. თეატრის აშენება ქალაქს 100,000 მანათზე მეტი არ უნდა დაუჯდეს და ამ ფულის აღება ადვილად შეიძლება, რაც უნდა იაფი ფასი დაედოთ ადგილებს. თეატრი იჯარით უნდა გაიცეს და ქალაქმა მხოლოდ ხალხისათვის ადვილად გასაგები რეპერტუარი დანიშნოს და ადგილების ფასები, იმედი აქვთ, რომ, თუნდა ყოველ დღე იყოს წარმოდგენა, ამ გვარ თეატრს მაინც ხალხი არ მოაკლდება.

## ჟულ-ფერის სიტყვა, წარმოთქმული პერიგეში.

საფრანგეთის მინისტრთა რჩევის პრეზიდენტმა ჟულ-ფერიმ, როდესაც დაბრუნდა პარიჟში კაგორიდგან, სადაც გამბეტას ძეგლი აუგეს, პერიგეში შეიარა, რომლის მცხოვრებლებმაც მიიწვიეს იგი და მის პატივსაცემლად ნადიმი გამართეს. ნადიმზე პერიგეს

---

თავშიაც ქვა უხლიათ. მე უიმათოდაც კარგად ვცხოვრობ. ეს ვინ მობძანდება აქ?—ტასო უეცრად გაჩერდა,—მგონი ჩვენი ვანო ბიჭი უზით «კოზლაზედ».

— ჰო, სტუმარია; გზად მიდიოდა და ვასილმა სთხოვა.

— ოჰ, ჩემი ვასილ! რა პურადი კაცია! აბა მხიარულად მივიღოთ ახლად მოწვეული სტუმარი.

სტუმარი მარტოკა არ იყო; მას უკან მოსდევდა ახალ-გაზდა ლამაზი ქალი.

ნემსაძე წავიდა მისაგებებლად.

— ბთხოვთ მობძანდეთ და ჩვენი პურ-მარილი ნახოთ. მე გახლავარ ვასილ ნემსაძე, ვაჭარი, გთხოვთ მიცნობდეთ.

— სასიამოვნო გახლავს თქვენი გაცნობა. არჩილ ზეძანის-ძე წროველაძე. მთავრობისგან ვარ გამოგზავნილი, რათა გადავათვალიერო აქაური საპატიმრონი. დაპატიჟებისთვის მადლობელი გახლავართ. მე არ შემიძლიან მონაწილეობა მივიღო თქვენს მეჯლისში, რადგან მარტოკა არ გახლავართ. ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, ეს ჩემი მეუღლე გახლავს. ვასილ ნეკაძე. მგონი, რომ სწორედა ვთქვი?

— ნემსაძე,—გაუსწორა ვასილმა და მიუბრუნდა მის ცოლს შემდეგის სიტყვებით.

— თქვენ, უეჭველია, არა გსურთ ჩვენი საზოგადოების გაცნობა?

— არა, ბატონო! უნებლიედ სთქვა მან,—ზოგიერთას ენახავთ. ჩვენ ხომ დიდ-ხნობით არ მოვსულვართ აქა.

— მაშასადამე, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, რომ შეგაწუხეთ.

— დიახ, ეს თქვენი ბიჭი ისე ჩაგვაცივდა, რომ ვარჩიეთ მოსვლა და პირადად ბოდიშის მოხდა. მშვენიერი მდებარეობა არის! თქვენ აქ მხიარულად გაატარებთ დროს. ის მშვენიერი ქალი ვინ არის! საუცხოვო რამ არის! დაინახე, არჩილ, რა ლამაზია! აი ჩვენსკენ იხედება. უკაცრავად, იქნება, თქვენი ნათესავი იყოს? სთქვა და მიაწოდა ქმარს ლორნეტი.

— დიახ, ჩემი ძლიერ მახლობელი ნათესავი გახლავთ,—უპასუხა ვასილმა, მაგრამ ბოდიშს რაღაზედ იხდით, თქვენ ისეთი არა გითქვამთ-რა. ხომ არას ინებებთ, ან ხილს, ან ღვინოს?

— არა, არა, მადლობელი ვარ, ბატონო!—აჩქარებით უპასუხა არჩილმა—გზას ვეშურებით... ნახვამდის... ამ დღეებში გნახამთ სახლში.—ცოლმა, რომელიც უარზედ არ იყო ხილის მირთმევაზე, გაკვირვებით შეხედა ქმარს.

— «რაზედ გაყვითლდა აგრე? რამ აადელვა! იფიქრა მან: ლორნეტი გაუვარდა ხელიდამ და ვერა გაიგო-რა: აი, ეხლაც ჯერ კიდევ ბალახებზედ გდია და არჩილი კი არა ჰფიქრობს აღებას. ნუთუ იმ ქალის სილამაზემ ესეთი ღრმა შთაბეჭდილება იქონია მასზედ?

— არჩილ! ლორნეტი რა უყავი? ძანკალით ჰკითხა მან.

— ლორნეტი? რა ლორნეტი? ჰო, მართლა ლორნეტი.... მაგრამ მე მგონია... შენ, მგონი, გამომართვი?

— მე, მგონი, შენ, მგონი კი არა... აი ლორნეტი ბალახებზედ არა გდია... აიღე. შენ, მგონი, ბუზანკალმა გიკბინა. ნახვამდის, ბატონო ნეკ... ნემსაძე! მადლობელი ვართ პატივისცემისთვის. არჩილ! წავიდეთ, შენ, მგონი... როგორღაც უქეიფოდ შეიქენ.

თავი დაუკრა ნემსაძეს, წაავლო ქმარს ხელი და მიიყვანა ეკიპაჟთან.

— ამარი რამ უნდა იყოს,—სთქვა ნემსაძემ, როდესაც დაბრუნდა სტუმრებთან.—ეტყობა ქმარი ხელთ უჭირავს.

— ვასილ! ვინ იყვნენ ეგენი? დამშვიდებით ჰკითხა ტასომ.

— მთავრობისგან არის გამოგზავნილი, რათა გადაათვალიეროს აქაური საპატიმრონი. რა ჰქვიან?! ველარ მოვიგონე. ჰო, არჩილ ზეძანის ძე წროველაძე. ქალი იმისი ცოლი იყო.

ტასომ გულზედ ხელი წაივლო და წივილით დაეცა მიწაზედ. სახე გაუყვითლდა.

— ვაიმე! ეს რა ამბავია! ტასოჯან, რა მოგვივიდა, გენაცვალე!—ეუბნებო-

მერმა შესხმა უთხრა ჟულ-ფერის და საზოგადოდ მის კაბინეტს. ჟულ-ფერიმ ამის პასუხად წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც იქამდინ შესანიშნავია, რომ მეორე დღესვე დაბეჭდეს მთელი ევროპის სხვა-და-სხვა გამოჩენილმა გაზეთებმა და შექმნეს იმაზედ ბაასი და მრავალ-გვარი სჯა. შესანიშნავია ეს სიტყვა იმით, რომ იგი ნათლად ჰხატავს საფრანგეთის რესპუბლიკის მმართებლობის პოლიტიკის პროგრამას, თუმცა თვითონ ორატორს კი სიტყვის დასაწყისშივე გამოუცხადებია, რომ ეხლანდელი მმართებლობა 15 თვეა განაგებს საფრანგეთსა და, მაშასადამე, მისი მოქმედების პროგრამა უკვე ცნობილი უნდა იყოს და რაღა საჭიროა მასზედ ლაპარაკიო!

«თუ სამინისტროს 15 თვის განმავლობაში პროგრამა არა ჰქონია, — უთქვამს ჟულ-ფერის, — მაშ, საფრანგეთს ამ დროს განმავლობაში სძინებია და გონებით უძლურებაში ყოფილა. ჩვენი პროგრამა ჩვენ მაშინვე გამოვაცხადეთ, როდესაც საფრანგეთის გამგეობა ვიკისრეთ: ამ პროგრამაში არ იყო მედიდური ფრაზები და ბაქიბუქი, — ის იყო მარტივი, ყველასათვის გასაგები და განკრძალული. კრიზის დროს, რომელიც მით უფრო სამწუხარო იყო, რომ დიდხანს გრძელდებოდა და რამდენიც უფრო გძელდებოდა, იმდენი უფრო საშიში და საფიქრებელი ხდებოდა, — ჩვენ გამოუცხადეთ პალატას ჩვენი მოქმედების პროგრამა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ დაგვემყარებინა წესიერება იქ, სადაც სუფევდა უწესობა, ურიგობა და არეულობა, შეგვეტანა ნათელი, ცნობიერება და გაბედულობა იქ, სადაც რამდენიმე ხნის განმავლობაში ჰსუფევდენ გონების სიბნელე, აზრების განუსაზღვრელობა და წინააღმდეგობა.

«ეს საშინელი მდგომარეობა იყო, როგორც რესპუბლიკისათვის, აგრეთვე მთელი სახელმწიფოსთვის». — შემდეგ ჟულ-ფერი ლაპარაკობს იმაზედ, რომ ეხლანდელმა საფრანგეთის მმართებლობამ ბევრი საქმე გააკეთა, როგორც შინაური, აგრეთვე გარეშეც და, როდესაც შეეხო გარეშე საქმეთა მდგომარეობას, სხვათა შორის, სთქვა: „საფრანგეთი მარტო კონტინენტალური (ხმელეთის) სახელმწიფო არ არის, — იმის წინააღმდეგს ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი ქვეყანა მეორე ზღვის სახელმწიფოა მთელ დედა-მიწის ზურგზე და ქვეყნის ყველა ნაწილებში გვაქვს ჩვენი საკუთარი ინტერესები. ხმელეთზე რომ პატივსაცემ სახელმწიფოთ ვირიცხებოდეთ, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ არც ერთს ქვეყნის ნაწილში არავის არ დაუთმობთ, რომ საფრანგეთის კანონიერს ინტერესებს შეეხოს ვინმე».

„ჩვენ უნდა კარგად შევიგნოთ ის, თუ რა პირობებით შეუძლიან იმისთანა დემოკრატიულს მხარეს, როგორიც არის ევროპის შუა-გულში მოქცეული საფრანგეთი, კეთილი და ძლიერი გავლენა იქონიოს ევროპის ბედ-იღბალზე და მის გონებით მოძრაობაზედ. დიდი ხანია, თქმულა — როდესაც საფრანგეთი ევროპის საქმეებში მონაწილეობას არ იღებს, მაშინ მთელი ევროპა ავად არის იმ ავადმყოფობით, რომელსაც შეიძლება თანასწორობის ნაკლულევანება ვუწოდოთ. და იმისათვის, რომ საფრანგეთს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ევროპის პოლიტიკაში, საჭიროა — მიანიჭოს მან თავის მმართებლობას ზოგიერთა გარანტიები სიმტკიცისა. მე თქვენ გკითხავთ: რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა ძნელს დროს, როგორიც ეხლანდელი დროა, იმ მმართებლობას, რომელიც ყოველ-კვირა სცვლის თავის წარმომადგენლებს და რომელსაც არ შეუძლიან დაუდოს მათ მტკიცე საფუძველი მოლაპარაკებისთვის და მორიგებისთვის.

„ორ სახელმწიფოს რომ ერთმანეთში მოსალაპარაკებელი და მოსარიგებელი რამ ჰქონდეთ, მათში უნდა იყოს ვინმე, რომელსაც მოლაპარაკება და მორიგება შეეძლოს, თუ არა? რესპუბლიკანურს საფრანგეთს ორ შემთხვევაში შეუძლიან თავის გარეშე პოლიტიკა იქონიოს: ერთი მაშინ, როდესაც სამინისტრო მტკიცე იქნება და ხან-გრძლივ დაჰყოფს თავის თანამდებობაზე, და მეორეც მაშინ, როდესაც სახელმწიფოს გამგებელთ განსაზღვრული პოლიტიკა ექნებათ. თუ წლევანდელ წელში უკეთესი მდგომარეობა გვიპყრია ევროპაში, ვიდრე წინად, ამის მიზეზი ის არის, რომ პარლამენტმა მიანიჭა სიმტკიცე და ძლიერება იმ პირთ, რომელთაც ენდობოდა, და ამ სიმტკიცით დაიმსახურეს მათ ნდობა სამზღვარ-გარეთაც. მართლაც და, რამდენჯერაც მივმართეთ რისთვისმე პალატას, ის ყოველთვის დაუყოვნებლივ ასრულებდა ჩვენს თხოვნას. აი ეს არის ძალა, აი ეს აძლევს მმართებლობას მნიშვნელობას, ავტორიტეტს, რომელიც საჭიროა უცხო სახელმწიფოებთან მორიგებისათვის.

ჩვენ თანამდებობას, მმართებლობის თანამდებობას რაღა შეადგენს? ჩვენ უნდა ცხადად და ხმა-მაღლა ვაცხადებდეთ ჩვენთ წადილთ, ჩვენ საქმე ისე არ უნდა წავიყვანოთ, რომ ეჭვი ვინმე შემოიტანოს ჩვენს განზრახვაზე, ჩვენ უნდა დავადგეთ განსაზღვრულს პოლიტიკას და მტკიცედაც ვადგეთ მას. და მე მგონია, ბატონებო, რომ, ჩვენ შეძლებისამებრ, ვასრულებთ ჩვენს თანამდებობას. აქაც და სამზღვარ-გარედაც ეხლა ყველამ კარგად იცის — ვინ არის ჩვენი მტერი და მოკეთე.

ჩვენ ძალიან გვკიცხამდენ, ესრედ წოდებული, «ბავრის პოლიტიკისათვის». მართალია, ბავრში შარშან მე ნება მივეცი ჩემს თავს და ვსთქვი, რომ მმართებლობას თავის განსაზღვრული პოლიტიკა აქვს-მეთქი, რომ ამ პოლიტიკას ბევრნი არ ეთანხმებიან და რომ მმართებლობა არ შეასრულებს მათს სურვილს, ვინც მის წინააღმდეგ იბრძვიან-მეთქი; მმართებლობის მნიშვნელობა მაშინ ისე იყო დამცირებული, რომ ამ სიტყვებმა ბევრნი, ძალიან ბევრნი ძლიერ გააბოროტა, თითქო გასაკვირველი რამ იყოს იმაში, რომ მმართებლობას თავის მომხრენი, მეგობრები ჰყვანდეს და მეგობრების დახმარებით უნდოდეს მართვა სახელმწიფოსი და არა იმათი შემწეობით, ვინც მისი წინააღმდეგნი არიან. დიახ, ბატონებო! ბავრის პოლიტიკა ჯერ კიდევ არსებობს, რადგან ჩვენ მოწინააღმდეგეთაც ჯერ არ მოუსპიათ თვისი აგიტაცია ჩვენს წინააღმდეგ».

შემდეგ ფერიმ გაიხსენა ის სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა მან წინადღით კაგორში გამბეტას ძეგლის დადგმის დროს და განაგრძო: «გასაკვირველია, რომ ის დიდებული კაცი, რომელიც გუშინ დავიტირეთ, იყო პირველი მსხვერპლი იმ ცალ-ცალეობისა, იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც ჩვენ ვუჩივით ეხლა. ისე არავის უნდოდა შეერთებინა რესპუბლიკის ძალნი, როგორც იმას, და აი პირველადვე იმის და მისი გავლენის წინააღმდეგ, რომელიც დღითი-დღე ძლიერდებოდა და რომელიც ზოგიე-

---

და თვალ-ცრემლიანი ნემსაძე. წიკლაური წყლის მოსატანად გაიქცა, დანარჩენი სტუმრები შეშინებულნი შესცქეროდენ ტასოს; ექიმმა მაჯა აიღო ხელში.

— ეჰ — ჰა, მაჯა რა რიგად უცემს! — შენიშნა მან. — არა უშავს რა... გულის აღელვება არის, — ამშვიდებდა იგი ნემსაძეს, ეხლავ გაუვლის... წყალი დაალევინეთ.

— აი წყალი. — წიკლაურმა ხელის კანკალით მიუტანა ტასოს წყალი.

— ბამიარა, დამშვიდდით, ყმაწვილებო! — წარმოსთქვა გონზედ მოსულმა ტასომ. — თქვენ კი გაგეხარდათ, განა, ბატონო ექიმო? გეგონათ თქვენი საწამლებელი შევიქნებოდი? ჯერ დიდხანს მოგინდებათ ლოდინი.

ტასომ გაიცინა, მაგრამ სახე კი ჯერედ მკრთალი ჰქონდა, მწუხარე და ღრმა დუმილი ეტყობოდა მასზედ. შემთხვევით ტასოს თვალები შეხვდა ნებიერიძეს ეჭვით სავსე თვალებს და ტასოს ელდასავით მოერიდა. — «ნუთუ მიხვდა? — გაიფიქრა ტასომ. ოხ, რა რიგ ვუყვარვარ! ამბობს, რომ უჩემოდ არ შეუძლიან სიცოცხლე».

— ლადო! მიუბრუნდა ტასო წიკლაურს, — უბძანეთ ბიჭს ერთი სტაქანი ჩაი მოიტანოს. წიკლაური საჩქაროდ გაიქცა მის ბძანების ასასრულებლად, სიხარულით აღტაცებული, რომ ერთი უკანასკნელი გლეხის გოგო, კაცის მკვლელობისათვის ტყვედ გაყიდული, მას ნათესავურად ექცეოდა.

ნებიერიძე კი გაქვავებული იჯდა და არ აშორებდა თვალს ტასოს.

— ყმაწვილებო! მგონი, ეხლა კი დროა შინ წავიდეთ? როგორღაც აცივდა, სთქვა ტასომ.

იგი ადგა ფეხზედ ზარმაცად, ცდილობდა გაღიმებას, თუმც გული ეტანჯებოდა.

— თქვენ იცნობდით წრფელაძეს..- ბიყვარდათ და იქნება კიდევაც გიყვარდეთ, არა? წასჩურჩულა ნებიერიძემ.

ტასო შეკრთა ამ სიტყვებზე.

— რა დაგემართათ.... ხომ არ გაგიჟდით!.. ძლივს წარმოსთქვა ტასომ.

— იქნება, კიდეც გავგიჟდი... არ ვიცი! როგორღაც აზრები მერევა. თქვენ მე ხეირს არ დამაყრით!... ოხ, რა კეთილი და პატივისმცემელი ქმარი ვიქნებოდი, რომ გეკისრნათ!.. ოხ, როგორ შეგინახამდით, რა რიგ გაგანებივრებდით! მოხუცი გებრალებათ და მე ახალგაზდას კი მღუპავთ.

— გრიგოლ! გაჩუმდით, — სთქვა აღელვებულმა ტასომ, — ნურას მეტყვით! მე ღირსი არა ვარ პატიოსანი კაცის ცოლი ვიყო. მე ვარ ნამუს-ახდილი, კაცის-მკვლელი. გამიგონეთ... მართალია, მე მიყვარდა წრფელაძე, მაგრამ.... მე მას მამა მოვუკალ, — თითქმის გაუგებრად წარმოსთქვა ტასომ. გრიგოლ! ნუ შემიყვარებთ... მე საძაგელი დედა-კაცი ვარ! მე დღეს არ ვიცი, ხვალ რას ჩავიდენ. იქნება... გრძნობით შეხედა გრიგოლს.

— იქნება, ხვალ დაუფიქრებლად თქვენთან მოვიდე საცხოვრებლად, წასჩურჩულა ტასომ.

ნებიერიძეს უცნაურის ცეცხლით აენთო თვალები.

— ტასო!

— რა? — იკითხა ტასომ და ერთი საშინლად გაიხარხარა.

— ღმერთო მოწყალეო! რაც გითხარით, არ მოხდება, — გარკვევით სთქვა ტასომ. — კმარა, მე მეტი ვსთქვი. აი ლადოც ჩვენთან მოდის, — დაუმატა მან უდარდელად.

— დიახ, იგი აირჩევს ხოლმე დროს. თქვენ უყვარხართ და იჭვნეულობს ჩემზედ.

ტასომ მხიარულად გაიხარხარა.

— ვუყვარვარ! მე მოხარული ვარ, რომ იმას აღარ ვძულვარ, როგორც წინად ვძულდი. ლადო, თქვენ ხომ ჩვენსა წამობძანდებით? ნახვამდის, გრიგოლ!

გახვია იგი წამოსასხამში, გამოართვა წიკლაურს ხელი და გაჰყვა თან.

(შემდეგი იქნება)

რთებს შემაერწყრობლად მიაჩნდათ, აღმართეს ლროშა. მაშასადამე, პირველად ჩვენ არ დაგვიწყვია ბრძოლა, და, რაკი სხვებმა დაიწყეს იგი, ჩვენ ამის წინააღმდეგ არა გვაქვს რა. არა, ჩვენ ყველა რესპუბლიკელებს არ მივდევთ, რადგან ჩვენ ყოველი ნაირი რესპუბლიკის მომხრენი არა ვართ».

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

19 აპრილს.

**ბერლინი** პარლამენტის კომისიამ, რომელიც სოციალისტების შესახებ კანონ-პროექტს იხილავს, უარ-ჰყო იგი. ვინდგორსტმა გამოაცხადა, რომ ცენტრი, რომლის წარმომადგენელთა უმეტესობა წინააღმდეგი იყო კომისიაში კანონ-პროექტისა, თავისუფლად იმოქმედებს პარლამენტში, როდესაც ამ კანონ-პროექტის განხილვა იქნება.

**პარიჟი** ჩინეთის ელჩი ბერლინის წინაშე ლიჩონჩაო პარიჟში დაინიშნა ელჩად და კიდეც წამოვიდა აქ; ამ დანიშვნას ტონკინის საქმეებთან კავშირი აქვს.

**ტორანტო კანადაში.** გუშინ პარლამენტში იმოდენი დინამიტის პატრონები იპოვნეს, რომ შეიძლება შენობის ერთი ნაწილი დაენგრია.

**გავანა.** თოფის წამლის მაღაზიის აფეთქებისაგან 21 კაცი მოკვდარა და 79-იც დაჭრილა.

**ოდესსა.** რადგანაც პურის ვაჭრობის საქმე კრიტიკულს მდგომარეობაში არის სამხრეთში, კრედიტი გაძნელებულია და საზღვარგარედ გასაგზავნს პურს დიდი გადასახადი ადევს,—მემამულეები და პურით მოვაჭრენი ადგენენ თხოვნას რომ, რაც შეიძლება, მალე ააშენონ ხორბლის ასაწევი საწყობნი და გადასწყვიტონ სესხის მიცემა პურის გირავნობით.

# განცხადებანი







მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირად ფეხის თითებს შუა,

## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფ ა რ მ ა ც ი ი ს მ ა გ ი ს ტ რ ი ს გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35,

დიდი კოლოფა გალმანინისა ვარშავაში ღირს 50 კაპ., პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგვატყუონ.

გ. კარპინსკი.

(10—9)

## ინგლისური რკინის კროვატები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მატრასები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდის. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრის საწყაოები, რიუმკები, გრაფინები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასადილოები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩეული საფერფლეები, ყინგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავშო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩუსტები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—100)

---

საქართველო-იმერეთის სომეხთ გრიგოლიანთ ეპარქიის კონსისტორიაში დანიშნულია ვაჭრობა ამ წლის 27 აპრილს (ვაჭრობის გაუმეორებლად) ეჩმიაძინის მონასტრის ბაღის საიჯაროდ გაცემისა.

ბაღი იმყოფება თბილისის 1-ს ნაწილში. (3—1)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის

| ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაი |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, [illegible], ჯამები, კოვზები, ტაშტები, [illegible], ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, განფეტები, მურაბები, მაგნეზია, ყინგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—16)

---

ი ნ გ ლ ი ს ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

თ მ ი ს-ა მ ო მ ყ ვ ა ნ ი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—20)



მ ა კ-მ ა ს ტ ე რ ი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, ლუხები და სხვ.

---

ს ა კ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აურებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაქსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**კატაუკი**—20 კ. (100—78)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდამ 1 მაისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდის
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 20 Апрѣля 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.